# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— პარასკევი, 24 დეკემბერი 1899 წ. № 997.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტირუზოვისა.—ხელთაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"

## 1900 წ.

**„მოამბე"**
(წელიწადი მეშვიდე)
**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

**„ცნობის ფურცელი"**
(წელიწადი მეხუთე)
**გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 6 მან. | 75 კაპ. |
| სამზღვარ გარეთის ქალაქებში | 7 მან, | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის მინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели"

## ქართული თეატრი

**კვირას, 26 დეკემბერს,**
ქართულის დრამატიულის საზოგადოებისაგან
წარმოდგენილი იქნება

## პარიზის ღატაკნი

მელოდრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნები კარგარეთელი, ტ. აბაშიძე, ნებიერიძე, გარელი და სხვანი.—ბ-ნები აბაშიძე, მესხი, ყიფიანი, სიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ალამიძე და სხვ.

**ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, ბენეფისი კ. ყიფიანისა**

**ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე**

6. (2—1) რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

Въ Центральной книжной торговлѣ (въ Тифлисѣ) и въ книжномъ магазинѣ Бежанейшвили (въ Кутаисѣ) продается **новая книга**

## Календарь-Альманахъ
## НА 1900 Г.

сост. **Г. Ласхишвили**
(съ картой Трансвааля и портретами буровъ).

Въ книгѣ кромѣ календарныхъ свѣдѣній помѣщены разсказы К. С. Баранцевича, Малышевкаго и др.; стихотворенія Иванъ-да-Марья и Л. Кипіани; театральное обозрѣніе и др. статьи. **Ц. 20 коп.**

Складъ изданія—въ литографіи Шахбазіана, на Барятинской ул., д. № 8.

6. (10—)2

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ ...ან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.** საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

**სამკურნალოს დირექტორი**
**ს. ზ. თოფურია**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## მთავრობის განკარგულებანი

**უმაღლესი ბრძანება ფინანსთა სამინისტროს:**

ბათუმის დამოუკის მოხელეს კოლეჟსკი რეგისტრატორს შანიძეს ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა.

ქუთაისის სახაზინო პალატის ბუღალტერს გუბერნსკი სეკრეტარს ოსიტაშვილს ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა.

## ახალი ამბავი

— ✦ **ახალქალაქიდან** დეპეშებით იტყობინებიან: 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე ქალაქ ახალქალაქში და მაზრის ზოგიერთ სოფლებში კვლავ იყო მიწის ძვრა. მიწა სუსტად შეირყა, მაგრამ წარსულის მიწის ძვრით დაშინებულნი მცხოვრებნი საშინლად შეშინდნენ და გარეთ გავარდნენ.

წარსულ მიწის ძვრამ ძალიან დააზიანა ახალქალაქში სახლები; ზოგიერთ მათგანში ცხოვრება საშიში შეიქმნა.

22-ს ახალქალაქში ჩამოვიდა ექიმებითა და ფელდშრებით ტფ. გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი და მაშინვე წავიდა დაზარალებულ სოფლებში, რათა ადგილობრივ მიიღოს საჭირო ზომები უბედურთა საშველად.

დაქცეულ 13 სოფლიდან, როგორც ამბობენ, 3000 კაცი გადარჩენილა სიკვდილს, მაგრამ დარჩენილა უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია სიციეეების გამო. ღამეებით სიცივე 24 გრადუსამდის ადის და ამისთანა ყინვაში ქალი, ბავშვი, ავათმყოფი, დაჭრილი და დაშავებული ხალხი ცის ქვეშ არის.

ახალციხის ქალაქის მმართველობა იღებს შემოწირულებას დაზარალებულთა შესაწევად. პირველ დღესვე შეგროვდა 600 მანეთი. დაზარალებულ სოფლებში გზავნიან პურს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვას.

ნავაგინის პოლკის უფროსი იტყობინება, რომ სამ დანგრეულ სოფელთა გაჩხრეკამ აღმოაჩინა 64 მოკლული და ერთი დასახიჩრებული კაცი.

ხმა არის, რომ ორი სოფელი ისეთნაირად გაუნადგურებია მიწის ძვრას, რომ გაჩხრეკაც არ შეიძლებაო მათი. ი. ნ. სვეჩინს თან ახლავენ საგუბერნიო ექიმი ბ. ქიქოძე და გლეხთა საქმეების საკრებულოს მდივანი ა. თ. ყიფშიძე.

✦ მთავარ-მართებლის თავ. გ. გ. გოლიცინის ბრძანებით გუშინწინ ტფილისის გუბერნიის მმართველს ი. ნ. სვეჩინს ტელეგრაფით გაეგზავნა 3000 მანათი ახალქალაქის მაზრის **დაზიანებულ მცხოვრებთათვის დასარიგებლად.** გარდა ამისა მთავარ-მართებელმა ნება დართო, რომ დაზარალებულთ სესხი მიეცეს სამეურნეო თანხიდან, რომელიც დანგრეულ სოფელთ ეკუთვნის.

✦ მომავალ წელს მთავრობას გადაუწყვეტია მოახდინოს კრება სრულიად რუსეთის **მეაბრეშუმეთა.**

✦ 6 იანვარს ჩვეულებრივ გაიმართება ბალი **სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.** ბალის დიასახლისად წელს იქნება კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა.

✦ 22-ს დეკემბერს ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან **საჯაროდ გასყიდვა** მოხდა **სოფლის მამულებისა,** რომლებზედაც გძელ ვადიანი სესხი იყო. გამოცხადებული იყო გასასყიდად 149 მამული, გასყიდვამდე დახსნილ იქმნა პატრონთაგან 144 მამული, რადგან შესატანი ფული შეტანილ იქმნა. გასასყიდად დარჩა 5 მამული. ამათგან სამი გაიყიდა და ორი დარჩა ხელახლად გასყიდვისათვის. („ივერია").

✦ განჯის ქართველობა ყოველ წლივ მართავს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ ჩვეულებრივ **ქართულ სადამოს.** განჯელებს, როგორც ჩვენ ეს საწმუ-

ნო წყაროდან გავიგეთ, მომავალ იანვრის დამლევ რიცხვებისათვის განუზრახავთ ამგვარი ქართული სალამოს გამართვა და ტფილისიდან კიდევაც მიუწვევიათ ჩვენი სცენის ორი ნიჭიერი მსახიობნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ტასო აბაშიძე.

✦ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განსვენებული ალ. რონიაშვილის მიერ ნაანდერძევი, **ფოტოგრაფია** მომავალ იანვრის პირველ რიცხვებში გადადის ტფილისის თავადაზნაურობის სახლიდან ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში, სწორედ იმ ადგილას, სადაც წინად იყო ეს ფოტოგრაფია მოთავსებული.

✦ თელავის მაზრაში მეტად გავრცელებულა **ყვავილი**. ექიმები და ფერშლები ვერ ასდიან ავათმყოფთ. მაზრის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს ექიმები და ფერშლები გამოგზავნეთ წამლებითაო.

✦ საქართველოს სამხედრო გზაზე დიდი თოვლი მოსულა და ამიტომ **რუსეთის ფოსტა** გუშინ გვიან მოვიდა.

✦ დ. სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ **აბრეშუმის გრენის** ყიდვა გაყიდვა იქ უკვე დაიწყო. წრევანდელმა მაგალითმა ნამეტნავათ შეაშინა ადგილობრივი მეაბრეშუმეები, და შეუმოწმებელ გრენს ხელს არ ჰკიდებენ. მართლაც წელს მეაბრეშუმეებმა ძლიერ დიდი ზარალი ნახეს აბრეშუმის წარმოებაში, უვარგისი თესლისა გამო. სამტრედიის ახლო-მახლო სოფლებში დარიგებული იყო რამოდენიმე ფუთი გრენი — ხრისტოდულიდისა, გალფარა და პერიესი, ბერტესი, კარნიკ არსენიანის, ჩილინგარიანისა და სხვათა. ამ ფირმების გრენი უმეტესად უვარგისი გამოდგა. საკვირველი იყო ერთი გარემოება: „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობამ“ დაარიგა ხრისტოდულიდის ფირმის გრენი, რომლის ყუთებზე ბეჭედი ეკრა. ეს ბეჭედი მეაბრეშუმეებმა მიიღეს ნიშნად, ვითომ გრენი შემოწმებულიაო და ბევრმა მათგანმა შეიძინა იგი. ბოლოს კი გამოდგა, რომ გრენა პებრინიანი ყოფილიყო, რის გამოც ამ ფირმის გრენიდან გამოყვანილი ჭიები მთლად დაიხოცნენ მესამე-მეოთხე კანში. წელს, როგორც ამბობენ, ამ ფირმის გრენის შეძენას კიდევ აპირებს ამხანაგობა. სასურველია ამხანაგობა შეიძენდეს ზემოხსენებულ ფირმის გრენას იმ პირობით, თუ შემოწმებული იქნება იგი, რაითაც ამხანაგობა აიშორებს ბევრს საყვედურს და უსიამოვნებას მეაბრეშუმეთა მხრით. თითეულმა მეაბრეშუმემ, რომელსაც ამხანაგობის თესლი წაუხდა, წააგო 20—50 მანეთამდე, შრომასა და ტანჯვის გარდა. მართალია, მაინცა და მაინც ბევრი მოგება მეაბრეშუმეობიდან წელს არავის მიუღია თესლის უვარგისობისა და ბჟოლის ფურცლის ნამეტან სიძვირის გამო, მაგრამ ამხანაგობის მიერ დარიგებულ გრენიდან უფრო ბევრს მოსავალს მოელოდნენ ისინი, რადგანაც ამ ფირმის გრენას ნაღდ ფულზე ჰყიდულობდნენ და ისეც დიდ ფასებში. თითო ფუთი ნედლი პარკი მეაბრეშუმეებს დაუჯდათ წელს 15—18 მანეთამდე, გაასაღეს კი 9—12 მანეთად.

✦ სენატმა განმარტა, რომ იმ ებრაელთ, რომელნიც ებრაელთა საცხოვრებელ ადგილებში დაბადებულან და კიდევ უფრო ის მათგანი, ვინც მიწერილნი არიან ამ ადგილებში, უფლება არა აქვთ იცხოვრონ კავკასიაში, თუ ეს უფლება მათ კანონიერის გზით არ მოუპოვებიათ. სენატის მეორე განმარტებით, ებრაელ ხელოსნებს არ შეიძლება უფლება მიეცეთ ფეხზე ვაჭრობა დაიწყონ თავიანთის ნაწარმოებით.

✦ ჩვენ მოგვივიდა **რუსული კალენდარა** ტფილისში გერცენშტეინის მიერ გამოცემული. კალენდარში გარდა სხვა და სხვა საკალენდრო ცნობისა დაბეჭდილია მოკლე ბიოგრაფიები ზოგიერთ ქართველ მწერალთა და მოთავსებულია მათი პორტრეტები.

✦ ჩვენ გვთხოვენ გავასწოროთ შემდეგი შეცდომა: **„ჯეჯილის“ ათის წლის ანგარიში** წაკითხული იქნება ქ-ნ ანასტასია წერეთლის მიერ კვირას, 26 დეკემბერს, და არა ორშაბათს 27-ს, როგორც წინად გვქონდა გამოცხადებული.

✦ გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა **საქმე ბ. ტერტეროვისა**, რომელსაც ტფილისში აქვს ლიმონადის და ზელტერის წყლის ქარხანა და რომელიც სამართალში იქმნა მიცემული ქალაქის სასანიტარო კომისიის ოქმის ძალით. ბ. ტერტეროვს ქარხანაში საშინელი უსუფთაობა და ლიმონადის მავნე ნივთიერებით შეზავება აღმოუჩინეს. მომრიგებელმა მოსამართლემ ტერტეროვს მიუსაჯა ერთი თვე ციხე, რაზედაც ბრალდებული არ დასთანხმდა და გადაიტანა საჩივარი ოლქის სასამართლოში. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი და არ შეიწყნარა ბ. იოანისიანის, ბრალდებულის ვექილის, შუამდგომლობა დატუსაღება ფულის გარდასახადზე შეეცვალათ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**22 დეკემბერი.**

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა მწერალი გრიგოროვიჩი.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. საიდუმლო სხდომაზე დერულედი დანაშავედ იქმნა ცნობილი 136 ხმით წინააღმდეგ 37-სა.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა რენსბურგიდან, 2 იანვარს (ახ. სტ.) გამოგზავნილი: ჩვენი მდგომარეობა კოლესბერგთან მოულოდნელად შეიცვალა: ღამე ბურებმა კვლავ დაიჭირეს ის პოზიციები, რომელნიც წინა დღეს გენ. ფრენჩმა წაართვა მათ. უეჭველია, ბურებს ღამე მეშველი ჯარი მოუვიდათ.

**დუგლასი.** პოლკოვნიკ პილჩერისაგან დამარცხებული ჯარი შესდგებოდა უმთავრესად ბრიტანიის აჯანყებულ ქვეშევრდომთაგან. ლანდროსი გაიქცა გუშინ აჯანყებულათა ცხენოსან რაზმით; ქვეითი ჯარი-კი, როგორც ისმის, გამაგრდა ქალაქის ახლო. მცხოვრებთა იმ ნაწილმა, რომელიც ერთგულად ემორჩილება ბრიტანიას, ბრიტანიის დროშა ორანჟეს რესპუბლიკის დროშის მაგიერ ჯარების მოსვლამდე აღმართა. ქალაქის მცხოვრებნი სიხარულით მიეგებნენ ინგლისის ჯარებს. სიხარული გაორკეცდა, როდესაც ხალხმა გაიგო, რომ მათი მხსნელი ჯარი ავსტრალიისა და კანადის ახალშენებიდან იყო.

**ფრერი.** ნატალის მსროლელთა რაზმმა, რომელიც მტრის დასაზვერავად წავიდა მდ. ტუგელის სამხრეთით, დაინახა, რომ ბურები პოზიციას ამაგრებენ და ზარბაზნებს სდგამენ. ბურების ბანაკიდან გამოქცეულმა მკვიდრმა სთქვა, რომ ბურებმა ერთი ზარბაზანი გრაბლერ-კლაარზე აიტანეს, საიდანაც დასცქერიან მთელს ბანაკს ინგლისელთა.

**ნიუპორტი.** კოლსბერგითან გორაკებზე ცხარე ბრძოლა მოხდა. მტერი მამაცურად იცავდა ყოველს ალაგს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა უკან დაწეულიყო. ბრიტანიის ჯარებმა შეირჩინეს თავისი პოზიციები.

**მოდერ-რივერი.** გუშინ გავიდა ბანაკიდან მზვერავი რაზმი გენერალის ბაბინგტონის წინამძღოლობით. ამ მოძრაობას თან კავშირი ჰქონდა პოლკოვნიკ პილჩერის იერიშს ბელმონტზე, რომელიც დასრულდა მტრის ბანაკის დაჭერით და 40 ბურის ტყვედ წაყვანით. ბაბინგტონის ჯარიც ამ გზით წავიდა, მაგრამ მის შესახებ ჯერ არავითარი ცნობები არ მოსულა.

**პეტერბურგი.** პრინცების—ალექსანდრე პეტრეს ძისა და პეტრე ალექსანდრეს ძის ოლდენბურგების თანადასწრებით დღეს აკურთხეს სასადილო, რომელშიაც 1200 კაცი დაეტევა, და თავშესაფარი. ორივე დიდი შენობა, რომელნიც ეკუთვნიან საქველ-მოქმედო საზოგადოებას, ელექტრონით იქნებიან განათებულნი. კურთხევის შემდეგ ყველა დამსწრენი სადილათ იყვნენ მიპატიჟებულნი.

**რიგა.** საკომერციო ბანკი აცხადებს, რომ 3 იანვრიდან ის გასცემს 3 პროცენტს დივიდენდს 1899 წლისას ანუ 15 მანათს თითო აქციაზე.

დრ. რედაქტ. **ალ ჭუღნია.**

---

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდარო ცნობები**

**ხუთშაბათი**, 24 დეკემბერი. მე-358 დღე 1899 წლისა; წლის დასრულებამდე დარჩა 7 დღე. მე-5 დღე მთვარისა. მე-40 დღე შობის მარხვისა. ხსენება წმ. ღირსისა მოწამისა ევგენიასი და მასთან პროტასიასი, იაკინთესი და კლავდიასი; ღირსისა ნიკოლოზის. სომხთა კალენდარი: მარხვა, კათოლიკეთა კალენდარი: ადამისა და ევასი. მაჰმადიანთა კალენდარი: ჯუმა, მე-4 რიცხვი თთვისა რამაზიანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

**შაბათი**, 25 დეკემბერი, ახალი სტილით 1900 წლის 6 იანვარი. 1899 წ. მე-359 დღე; წლის დასრულებამდე დარჩა 6 დღე. მთვარის მეექვსე დღე.

შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

სომეხთ კალენდარი: ხსენება სტეფანე პირველ მოწამისა.

კათოლიკეთა კალენდარი: შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი. ხსენება წმ. ანასტასიასი.

მაჰმადიანთა კალენდარი: შანბე, მე-5 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

შემდეგი დღესასწაული: კვირა, 26 დეკემბერი—შობა ქრისტესი.

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ...რცი ძროხისა | 1 გ. | — 7½ კ. | |
| ...ეკი | 1 „ | — 12 კ. | |
| „ ცხვრისა | „ „ | — 8 კ. | |
| „ კამეჩისა | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორისა | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორის ბარკა-...ი სალორეთ. | 1 „ | — 9 კ. | |

(...როხისა და ცხვრის ხორცს ის ფე-...ი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| ...ური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| ...გივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ...ავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

---

## ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: მეიდნებზე | | | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ ...რო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი | 1 | — | 50 | — | — |
| თივა | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე | „ | — | 20 | — | — |

შემა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ, შემა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

---

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | „ 25 „ |
| № 1—8 | „ 50 „ | № 5—7 | „ — „ |
| № 2—8 | „ — „ | № 6—6 | „ 75 „ |
| № 3—7 | „ 50 „ | № 7—6 | „ 25 „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.
მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „
...მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ...ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 მდე.

---

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო ...ახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში - 60 მ. თვ.

---

**ქალაქის სამკურნალო**, მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

---

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუ-..., სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი ...რაქოვი.

---

**ჭუჭიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

---

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

---

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

---

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის**, უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

---

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

---

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

---

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 05 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჟომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჟომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჟომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 9 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

---


# განცხადებანი

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის გუბერნია დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუისა საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პეტონისა | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ლვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... ი სობრანიეს გვერდზე.

**იიემეთ ჩაი** პირველი მოკრებისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სამკაზმო ნივთს.

---

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

**საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის**

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—91)



ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო საჭაჭროდ

# „უნივერსალნი მაღაზია“

**კ. გ. ყარიბოვისა** (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟი)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, სათუჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**აქ არის ახლად მიღებული დიდძალი**

- ქოლგები.
- თეთრეული.
- კორსეტები.
- წინდები.
- ჩულქები.
- ფუფაიკები.
- ჟერსე.
- პერჩატკები.
- კრუჟევა რუსული და გრან.
- შალები თბილი.
- შარფები.
- ყელსახვევი (ბოა).

- შლიაპები.
- სარტყლები.
- მოსართავები.
- ლენტები ყოველნაირი.
- ბაღდადები.
- ხელსახოცები.
- ყელსახვევები.
- პირბადეები.
- აგრამანტები.
- გამაშები.
- რედიკულები.
- ალბომები.

- სარკეები.
- ნესესრები.
- პორტმონები.
- სანობათო ნივთები.
- საქორწილო სამკაულები.
- საბავშო ტანსაცმლები.
- ქალების კაბების საკაზმები.
- ფანჯრის ტულები.
- ქსოვილი სუფრები.
- საბნები ქსოვილები.
- ბალიშის პირები.
- ბამბები შალისა.
- ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.

სამრეწველო საქონელი.

**არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა.

**„ალპაკას“ ნახელოვნები,** სქლად მოვერცხლებული.

**სამზარეულო ჭურჭლები,** წმ. ნ.-და ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.

**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50—28)

მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის.



# აკაკის თვიური „კრებული“

(წელიწადი მესამე)

გამოვა 1900 წელს იმავე პროგრამით და იმავე პირობებით, როგორც 1899 წელს: ესე იგი გარდა საკუთარის ნაწერებისა დაიბეჭდება სხვების ყოველგვარი ნაწერებიც.

**ფასი იგივე დარჩება:**

გაგზავნით 7 მანეთი. გაუგზავნელად—6 მან. ნახევარის წლით—4 მ. თვიურად და ცალკე №-რი—60 კ.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერისას 3 მან. პირველ მარტს 2 მან. და პირველ მაისს 2 მან.

**რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში**

ადრესი: დ. ყვირილა, „კრებულის“ რედაქცია და ტფილისი, „წერა-კითხვის საზოგადოება“.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ბოლო გვერდზე დასაბეჭდად, დაკლებულის ფასით: მთელი გვერდი 8 მან., ნახევარი გვ. 4 მ. და მეოთხედი—2 მ.

რედაქციაში მოიპოვება სრულად 1899 წლის „კრებული“-ს წიგნები, გაგზავნით 7 მანეთად, ხოლო ახალ ხელის-მომწერთ იგი დაეთმობათ 6 მანეთად.

„კრებული“-ს რედაქტორი და გამომც. აკაკი.



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ, ერთიდან—სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს“ მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთად, ხოლო გაგზავნით. ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банк № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“.



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რწმუნებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

გამომცემელი ეკ. გაბაშვილის.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Декабря, 1899 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ის. დიდი ვანქის ქუჩა, № 27.